განხილულია და დამტკიცებულია სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო [illegible] სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმით № [illegible]

„12" [illegible] წ.

სამეცნიერო საბჭო

საჯარო სამართლის იურიდიული პირის რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის

მანქანათმშენებლობის განყოფლების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. მანქანათმშენებლობის განყოფილება ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩატარებას ინსტიტუტის წესდების საფუძველზე.
2. განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ძირითადი მიმართულებებია:

ა) ახალი ლითონ და ენერგოდამზოგი მანქანა–დანადგარების და მექანიზმების დამუშავება.

ბ) რაციონალური ტექნოლოგიების დამუშავება.

გ) მანქანათმშენებლობაში გამოყენებელი ახალი მასალების დამუშავება.

დ) მასალების ტრიბოლოგიური თვისებების კვლევა.

განყოფილების უფროსი: ახორციელებს განყოფილების სამეცნიერო - საორგანიზაციო ხელმძღვანელობას, კერძოდ:

ა) უზრუნველყოფს ადმინისტრაციის და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმებისა და დავალებების შესრულებას;

ბ). ორგანიზებას უწევს სამეცნიერო - კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატიური გეგმების შემუშავებას და შესაბამისი ანგარიშების შედგენას და წარდგენას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე;

გ) ორგანიზებას უწევს განყოფილების სამეცნიერო სამუშაოების ჩართვას სახელმწიფო ან საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებით გათვალისწინებულ დაფინანსებაში;

დ) ზრუნავს განყოფილების სამეცნიერო პოტენციალის უმაღლესი განათლების პროცესში აქტიური გამოყენებისათვის;

ე) ორგანიზებას უწევს და პასუხს აგებს გარეშე ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის აუცილებელი სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მომზადებაზე, უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

ვ) ხელმძღვანელობს განყოფილებაში შესრულებულ სამუშაოებზე სამეცნიერო ანგარშების და სხვა სამეცნიერო - ტექნიკური ხასიათის დოკუმენტაციის შედგენას;

ზ) პერსონალურად აგებს პასუხს განყოფილებაში ჩატარებულ სამეცნიერო - კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების დონეზე, განყოფილებაში შრომით დისციპლინაზე;

თ) განსაზღვრავს განყოფილების მოთხოვნილებას მატერიალურ და ფინანსურ რესურსებზე, ორგანიზებას უწევს შესაბამისი განაცხადების მომზადებასა და წარმოდგენას დადგენილი წესის მიხედვით;

ი) პასუხისმგებელია განყოფილებაში არსებულ მატერიალურ ფასეულობათა შენახვაზე და ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე;

კ) მონაწილეობს სამეცნიერო კადრების შერჩევაში, ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვასა და დამაგრებაში და ახორციელებს მათ რაციონალურ განაწილებას, უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებას;

ლ) წარმოადგენს წინადადებებს განყოფილების თანამშრომელთა წახალისების ან სამსახურეობრივი პასუხისმგებლობის თაობაზე.

განყოფილების კონსულტანტი:

ა) კონსულტაციას უწევს განყოფილების თანამშრომლებს სამუშაოების სათანადო მეთოდებითა და სტანდარტებით შესრულების საქმეში.

ბ) მონაწილეობს კვლევების მიზნებისა და სამეცნიერო–ტექნიკური ამოცანების ჩამოყალიბებაში, უშუალოდ მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში.

განყოფილების მთავარი მეცნიერ–თანამშრომელი:

ა) ხელმძღვანელობს მეცნიერთა ჯგუფს;

ბ) განყოფილების უფროსის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას და სარგებლობს მისი უფლებებით;

გ) კურირებს განყოფილებაში მიმდინარე რომელიმე სამეცნიერო მიმართულებას;

დ) საინფორმაციო წყაროების საშუალებით მუდმივად ახორციელებს საძიებო სამუშაოებს თავისი მეცნიერული ინტერესების სფეროში და განსაზღვრავს დარგში პერსპექტიულ მეცნიერულ მიმართულებებს;

ე) წარმოადგენს განყოფილების გეგმით, დავალებით და სხვა მიზნებით შესრულებული სამუშაოს პასუხისმგებელ პირს, ამოწმებს სამუშაოს და წარუდგენს განყოფილების უფროსს დასამტკიცებლად.

ვ) აყალიბებს კვლევების მიზნებს და ამოცანებს უშუალოდ მონაწილეობს სამეცნიერო კვლევაში.

ზ) ამზადებს და აგზავნის სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოებს სახელმწიფო ან საერთშორისო სამეცნიერო ცენტრების გრანტების მოსაპოვებლად.

თ) ხელმძღვანელობს შესრულებულ სამუშაოზე სამეცნიერო ანგარშების და სხვა სამეცნიერო –ტექნიკური ხასიათის დოკუმენტაციის შედგენას.

განყოფილების უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი:

ა) წარმოადგენს განყოფილებაში გეგმით მიმდინარე სამეცნიერო თემის ხელმძღვანელს ან პასუხისმგებელ შემსრულებელს;

ბ) გეგმავს და ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს;

გ) ვალდებულია სამუშაო შეასრულოს სათანადო მეთოდიკით და სტანდარტით თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

დ) პასუხს აგებს მასზე დაკისრებული სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების დონეზე და შესრულების ვადებზე;

ე) ახორციელებს საძიებო სამუშაოებს თავისი მეცნიერული ინტერესების სფეროში საინფორმაციო წყაროების საშუალებით;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს ხელმძღვანელობის სხვადასხვა სახის დავალებებს.

ზ) ამზადებს და აგზავნის სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოებს სახელმწიფო ან საერთშორისო სამეცნიერო ცენტრების გრანტების მოსაპოვებლად.

განყოფილების მეცნიერ–თანამშრომელი:

ა) წარმოადგენს განყოფილებაში გეგმით მიმდინარე სამეცნიერო თემის პასუხისმგებელ შემსრულებელს;

ბ) ვალდებულია სამუშაო შეასრულოს სათანადო მეთოდიკით და სტანდარტით თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

გ) პასუხს აგებს მასზე დაკისრებული სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების დონეზე და შესრულების ვადებზე;

დ) ახორციელებს საძიებო სამუშაოებს თავისი მეცნიერული ინტერესების სფეროში საინფორმაციო წყაროების საშუალებით;

ე) შეუძლია მოამზადოს და გააგზავნოს სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოები სახელმწიფო ან საერთშორისო სამეცნიერო ცენტრების გრანტების მოსაპოვებლად.

ვ) კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს ხელმძღვანელობის სხვადასხვა სახის დავალებებს.

განყოფილების ინჟინერი:

ა) მონაწილეობს განყოფილების გეგმით, დავალებით და სხვა მიზნებით შესასრულებელი სამუშაოს განხორციელებაში შემსრულებლის და შემსრულებლის დამხმარის როლში;

ბ) ვალდებულია სამუშაოს შესრულების წინ გულდასმით გაეცნოს სამუშაოს შესრულების სპეციფიკას და უსაპრთხოების წესებს;

გ) პასუხს აგებს დავალებული სამუშაოს შესრულებისასთვის საჭირო დანადგარების და ხელსაწყოების გამართულობაზე და სათანადო დონეზე მოვლაზე.

განყოფილების ტექნიკოსი:

ა) ახორციელებს განყოფილებაში არსებული ძირითადი კომუნიკაციების, მოწყობილობებისა და სისტემების მომსახურებას;

ბ) მეცნიერთა და ინჟინერთა ხელმძღვანელობით მონაწილეობს ექსპერიმენტების მომზადებასა და ჩატარებაში;

გ) უზრუნველყოფს სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას.

განყოფილების ლაბორანტი:

ა) მონაწილეობს განყოფილების გეგმით, დავალებით და სხვა მიზნებით შესასრულებელი სამუშაოს განხორციელებაში შემსრულებლის დამხმარის როლში;

ბ) ვალდებულია სამუშაოს შესრულების წინ გულდასმით გაეცნოს სამუშაოს შესრულების სპეციფიკას და უსაფრთხოების წესებს;

გ) ვალდებულია მოამზადოს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი მასალები, ლაბორატორიული აღჭურვილობა და ხელსაწყოები, ხოლო სამუშაოს დასრულების შემდეგ მოიყვანოს ისინი წესრიგში.